ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი N 02

დ. ლენტეხი 15. 05. 2024 წ.

მ/წ 15 მაისს, დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ონიანი, კახა ლიპარტელიანი (კომისიის წევრი), დავით პირველი (კომისიის წევრი), სხდომის მდივანი - ნანი ბენდელიანი.

დღის წესრიგი: 1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის გია ონიანის წერილი, მოქალაქე ლია გაზდელიანის დასახმარებლად, სარეზერვო ფონდიდან 1000 (ერთი ათასი) ლარის გაცემის თანხმობის თაობაზე..

/ მომხს: კომისიი თავმჯდომარეზ. ონიანი/

სხდომის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა, კომისიას გააცნო ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ გია ონიანის წერილი, რომელშიც აღნიშნულია ,რომ ქალბატონი ლია გაზდელიანი ცხოვრობს ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობაში, არის ეკომიგრანტი, მარტოხელა დედა, ავტოკატასტროფაში დაეღუპა ერთადერთი შვილი, რომლის საფლავის ქვა მეგობრებმა წლების წინ მოუტანეს , მაგრამ უსახსრობის გამო მის დადგმას საფლავზე ვერ ახერხებს. ქვის ხარისხიდან გამომდინარე დადგმის ხარჯი 1000 (ერთი ათას) ლარს შეადგენს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი საკრებულოსგან ითხოვს ნებართვას, რომ ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიცეს მოქალაქე ლ. გაზდელიანის დასახმარებლად 1000 (ერთი ათასი) ლარი.

კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა გაეწიოს დახმარება მარტოხელა დედას ლია გაზდელიანს, თანხმობა მიეცეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს წინადადებაზე - მარტოხელა დედის ლია გაზდელიანის დასახმარებლად ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 1000 (ერთი ათასი) ლარის გამოყოფაზე. შსაბამისად საკითხი ჩაისვას მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

„ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის სხდომა დამთავრდა დღის 12 საათზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: /ზ. ონიანი/